N 120
30.10.2020 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი მოსკოვის N38
საკადასტრო კოდი: 01.19. 34.003.217;
ნაკვეთის დანიშნულება:
ფართობი: 5100.00 კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : შპს „ისანი გარდენსი“, ID ნომერი:406302923

2020 წლის 28 ოქტომბერს შპს „ისანი გარდენსი-ს“, (ID ნომერი:406302923) მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა საკადასტრო კოდი:01.19. 34.003.217; მიწის ნაკვეთზე არსებული **33** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	54	22.0	ხმობადი	ამორტიზებული
2	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	65	21.0	ხმობადი	ამორტიზებული
3	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	67	20.0	ზეხმელი	
4	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	42.5	19.0	ზეხმელი	
5	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	56.5	20.0	ზეხმელი	
6	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	69	20.0	ხმობადი	ამორტიზებული
7	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	50	19.0	ხმობადი	ამორტიზებული
8	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	53	20.0	ხმობადი	ამორტიზებული
9	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	60	21.0	ხმობადი	ამორტიზებული

შპს "ეკო გარემო"

10	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	50	20.0	ზეხმელი	
11	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	65	21.0	ზეხმელი	
12	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	56	21.0	ხმობადი	ამორტიზებული
13	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	47	19.0	ხმობადი	ამორტიზებული
14	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	48	22.0	ხმობადი	ამორტიზებული
15	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	59	23.0	ხმობადი	ამორტიზებული
16	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	90	23.0	ხმობადი	ამორტიზებული
17	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	63	22.0	ხმობადი	ამორტიზებული
18	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	62	14.0	საღი	
19	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	57	16.0	საღი	
20	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	61	18.0	საღი	
21	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	59	18.0	საღი	
22	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	63	12.0	საღი	
23	ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)	39.5	12.0	საღი	
24	მუშმალა, იაპონური ზღმარტლიE(riobotrya japonica)	4,5	2.0	საღი	კილკენკროვანი
25	იასამანი (Syringa)	3	1.5	საღი	ბუჩქი, შესაძლებელია გადარგვა
26	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	16	3.0	საღი	ხილკენკროვანი
27	ლეღვი (Ficus carica)	20	3.0	საღი	ხილკენკროვანი
28	ვაზი (Vítis)	3		საღი	ხილკენკროვანი
29	ლეღვი (Ficus carica)	12	3.0	საღი	ხილკენკროვანი
30	ვაზი (Vítis)	5		საღი	ხილკენკროვანი
31	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	6	4.0	საღი	ხილკენკროვანი
32	ვაზი (Vítis)	14		საღი	ხილკენკროვანი
33	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	17.5	6.0	საღი	

ტერიტორიაზე არსებული 33 ძირი მცენარეების ნუსხა სახეობების მიხედვით:

ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარეები 17 ძირი, მათ შორის:

დაბალი ღირებულების ჯგუფის 17 ძირი:

- 17 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoids) N 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 ;

წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარეები 6 ძირი, მათ შორის:

მაღალი ღირებულების ჯგუფის 15 ძირი:

- 6 ძირი ელდარის ფიჭვის (Pinus eldarica) N 18, 19, 20, 21, 22, 23

ეკოგარემო

ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეები 9 ძირი, მათ შორის:
- 1 ძირი მუშმალა, იაპონური ზღმარტლიE(riobotrya japonica) N 24;
- 3 ძირი ალუბალი (Prúnus subg. Cérasus) N 20. 31, 33;
- 2 ძირი ლეღვი (Ficus carica) N 27, 29;
- 3 ძირი ვაზი (Vítis) N 28, 30, 32;

ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა მცენარეები 17 ძირი, მათ შორის:
- 1 ძირი იასამანი (Syringa) N 25,

აღრიცხული 33 ძირი ხე-მცენარიდან:
ზეხმელია: 5 ძირი ხე-მცენარე:
- 1 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoides)N 3, 4, 5, 10, 11

ხმობადია: 16 ძირი ხე-მცენარე:
- 12 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoids) N 1, 2, 6, 7, 8, 9, 12, 13, 14, 15, 16, 17 ;

საღია: 16 ძირი ხე-მცენარე.

ხე-მცენარის ამოღება და გადარგვა

მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ. დიამეტრს შესაძლებელია გადაირგოს როგორც ხელით, ასევე სპეციალური გადამრგველი მანქანით, ხოლო დიდტანიანი (25 სმ. დიამეტრზე მეტი) ხეების გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური ტექნიკისა და გადამზიდავი მანქანა-დანადგარების საშუალებით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდ ტანიანი ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით (დიდ ტანიანი ხეების შემთხვევაში ამწეს გამოყენებით), დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება.
ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.
ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ.

თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ფოტო თან ერთვის

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

საკადასტრო კოდი 01.19.34.003.217







საკადასტრო კოდი 01.19.34.003.217









საკადასტრო კოდი 01.19.34.003.217







